

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტელეგრაფული
გაზეთის დანაშაულებად
და განცხადებათა წესდებამდ:
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამორტ. საზოგადოების კანცელარიას—სასახ-
ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასა განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპიკი.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურტი.

ალექსანდრა მიხეილის ძის საზოგადოების

ცხელად გამოასვენებენ მიხეილის სამკურნალოს ნიშიდამ კვირას, დილის 9 საათზე და მისვენებენ ქვაშეთის ეკლესიაში, საცა წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ და იქილამ წაასვენებენ ვერის გზით სოფ. სტეფან-წმინდას.

ქართული დრამატული დასი

სთხოვს მეგობართა და პატრონებისა

ალექსანდრა მიხეილის ძის საზოგადოების (მოხმებისა)

მოხმების დასი, 18 დეკემბ., 1 საათზე ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდზე და კვირას, 19 დეკ., დილის 9 საათზე მიცვალებულის გამოსვენებაზე ქალაქის სამკურნალოს ეკლესიიდან ქვაშეთის ეკლესიაში. (2—1)

„ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

ფელეტონი

ბ ი რ ი ლ ი

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

იანვრის გიჟი ტაროსი სდგას. დასავლეთის ქარი ძლიერად ჰბერავს, თითქოს უნდა სული ჩაუღვას გაშეშებულს არე-მარეს, რომელიც თოვლის სუდარაში გახვეულა, სიცოცხლის ნიშნები დაუკარგავს და პირი საფლავისკენ უქნია. ქარის გამოტარებულს ქროლაზე სოფლის განაპირას ბედათ გადარჩენილი ტყე საშინლად ჰკენის; გაძარცვული ხის წვერნი ძლიერად იხრებიან, შფოთვენ, თითქოს ქირისუფლობას უწევენ, თავს დასტირიან ყველაფერს, საცა-კი უღმობელმა ზამთარმა სიცოცხლე მოუსპო. სოფლის შარა გზაზე ერთობ გაუძნელებია მიმოსვლა თოვლის სქელს საბანს, რომელიც ისე უწყალოდ გაუთელავთ გოგია ბეჩავის ეზოში ამ უკანასკნელს უბედურებაზე შეკრებილ მებობელთ და ნათესავებს. გოგიას მეტად დაძველებულს, ისრით დახურულს ქობის წინ ქარი აფრიალებს ეკლესიის დროშას, რომლის დანახვაზე ყველა რწმუნდება, რომ ამ ოჯახში დღეს იმ გამხმარს კაცს გაუმართავს ღზინი, რომელსაც სიკვდილს ეძახიან და რომელიც ასეთი ხშირი სტუმარია მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა ქობებში. მგზავრი შემდგარა ამ სურათის დანახვაზე, პირველად იწერს და სოფლის ამოებაზე

გაუბამს საუბარი თავის თანამოგზაურთან. ქობში გოგიას ცოლის ნამზითვი, სამგან გამოკლეული ხალიჩა გაუშლიათ, რომელზედაც სდგას ერთობ ღარიბად მოართული კუბო, უკანასკნელი ბინა უდროვოდ დამიწებულის დიასახლისისა—მარინისი. კუბო შემოსილია მეტად დაძველებულის ფერად სახეებიანი ფარჩის გაღასფარებლით. მე კარგად ვიცნობ ამ ფარჩის გაღასფარებელს; დიდი ხანია, რაც ის შემოსწირა საბეჩაოს წმინდის გიორგის ეკლესიას ახლად მიცვალებულის ცოლის სულის მოსახსენებლად ერთმა შეძლებულმა კაცმა და მას აქეთ ყველა ღარიბს ქირისუფალს მიაქვს ის ნათხოვრობით თავის მიცვალებულის კუბოს დასამშვენებლად. ბევრი ცრემლი შეუშრია ამ ფარჩას, ბევრი მარინისავით ბეჩავი მიუცილებია საუკუნო ბინამდის, ბევრ სიცივისა და სიმშლიის მსხვერპლთა კუბო დაუშვენებია, რომელთაც სრული საბუთი ჰქონდათ ეთქვათ: ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარს ჩამაცვეს ფარჩანო. ცხედარს ჩამწკრივებთ უხედან თმა-გაშლილი დედაცები და გულსაკლავად სტირიან, მოსთქვამენ მარინეს კაი ქალობას, თავ-განწირულობას, ქმრისა და ოჯახისადმი ერთგულობას. ერთს კუთხეში ძაძით მოსილი გოგია სდგას და მღუღარებას აბნებს; აქვე ერთი მეორეს მომდევნო გოგიას წვერილი შვილები მოსთქვამენ და ერთი ათად აძლიერებენ სავითომწუხარებას. როცა ესენი გულის გა-

წვილიანი და კორპორაციონების უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზე.

ორშაბათს, 20 დეკემბერს, ტფილისის სობრასიაში დანიშნულა

კონსერტი

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. კონცერტის შემდეგ

გ ა ნ ც ი

დაწერილებით აფაშა იქმნება გამოცხადებულა.

ბილეთების სყიდვა შეიძლება წერა-კითხვის კანცელარიაში და სობრასიაში.

ტფილისი, 18 დეკემბერს

ამ ქამად ქურნადს „Вѣстникъ Европы“-სა და გაზეთს „Моск. Вѣд.“-ს დიდი კამათი და ბასი აქეთ ერთის საყურადღებო საგნის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანასაც შეეხება. საკამათო საგანი რუსეთის პირველ-დაწყებითი სასწავლებლებია.

ამას წინადა მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ „ცამეტ არა-საერთობო გუბერნიის საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებლებს ერობის ფულიდგან, იმას გარდა, რაც ეძლევათ, 144,000

მან. მიეცეთ წელიწადში და, ამას გარდა, უწ. სინოდი ობერ-პროკურორსა და საერთო განათლების მინისტრს დაევალოთ, სახელმწიფო საბჭოში წარმოადგინონ თვისი აზრი იმ წეს-რიგის შესახებ, რა წეს-რიგის შემოღებას სასწავლებლის პირველ-დაწყებით სასწავლებლების წარსამართავად და განსაგებდათ.

ეს განკარგულება „Моск. Вѣд.“-ს ძალიან მოეწონა და განაცხადა, რომ რუსეთში პირველ-დაწყებითი სწავლა ყოველთვის სასულიერო წოდების ხელში იყო, შემდეგ იმათ ხელიდგან გამოეცალათ და მთავრობამ 13 ივნისის 1884 წლის კანონით ისევ გამოაცოცხლა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. ენლა ზემოხსენებული ახალი განკარგულება ნათლად ჰქმნობს, რომ მთავრობას განუზრახავს ყველა პირველ-დაწყებითი სასწავლებლები ერთის ტიპისად აქციოს და მისი მართვა-გამგეობაც გააერთიანოს.

გაზეთი აღტაცებაშია მთავრობის იმ ახალის მიმართულებით, რომ პირველ-დაწყებით სწავლაც განათლების საქმე სასულიერო წოდების ჩაუვარდეს მთლად ხელში, უპირატესობა მიეცეს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს და ამ გვარად ყველა სხვა რიგი-

სა და ტიპის სასწავლებელი დაქვეითებული იყოს, მნიშვნელობასა და ძალას მოკლებული, მთავრობის მიერ მოძულებული.

„Моск. Вѣд.“-ის სიტყვების დაფარულს მნიშვნელობას ქურნადმა „Вѣстникъ Европы“-მ რიდე აჰხადა და გამოამჟღავნა, რომ ეგ იმასა ჰქმნავს, გაუქმებულ იქმნას დირექცია და ინსპექცია საერთო სასწავლებლებისა, დაიკეტოს საერთო, საქალაქო და სამინისტრო სასწავლებლები და იმათ მაგიერად საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები დაიმართოს და ეს სასწავლებლებიც მართო და მხოლოდ სასულიერო წოდებისაგან იყოს დამოკიდებული.

ზემოხსენებული ქურნადი სრულიად უარ-ჰყოფს გაზეთის აზრს, ვითომ პირველ-დაწყებითი სწავლა ყოველთვის სასულიერო წოდების ხელში ყოფილიყო. პირ-იქით, პეტრე პირველის მეფობიდან მოკიდებული დღევანდლამდე პირველ-დაწყებითი სწავლა საერთო წოდების ხელში იყო, სასულიერო წოდების მხოლოდ შესამოცე წლებამდე უფლება ჰქონდა შერჩენილი პირველ-დაწყებით სასწავლებლების საქმეში ჩარევისა და კიდევ ამის მიზეზით ასეთ სასწავლებელთა რიცხვი ძნელად მრავლდებოდა, ჯეროვანი ნაყოფი ვერ

ემთ ტაროსს უჩივის.

— ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი საშინელი დღე არ მახსოვს; ერთი ჩვენის პეტრიას ცოლის დამარხვაზე იყო და მეორეც დღეს არის. უნდა გითხრა, ეს მეორე სიკვდილია, სთქვა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა, როცა ხელის წასათბობათ მიუახლოვდა იქვე ეზოში გაჩაღებულს ცეცხლსა. — კაცო, ჩვენ ხომ მეზობლები ვართ და მოუსვლელობა არ გვარგია, მაგრამ ამდენი მღვდელი სად გაჩნდა დღეს, საკვირველია ღმერთმანი! ამით არც თოვლი აკავებს და არც ქარი, ცხრა მთას იქით გაჩნდებიან ხოლმე, თუ ქელებს სუნი იკრეს. დინახეთ, ეხლა შავკორიანი მღვდელი რომ გავიდა ჰიისკარებში? ის კაცო ჩ—თის ფსევსი სახლობს, სთქვა მეორემ.

— შენ იკითხე, თორემ იმან კარგი მანეთიანი იგლო ხელში. ხომ გავიგონია: „ხუცესმა უთხრა ხუცესსა, ტირილი არის ოსეთსა“, ჩაღექსა მესამემ.

იქ წასაბურავის (ფულის შესაწევარი) მიმღები გლეხი მწერალს ეუბნება წამბურავთა სხელსა-და-გვარს შესაწევარის ფულის რაოდენობით, და იმავ დროს გაცხარებით ეკამათებდა მღვდლებს, ღიაკვნებს და მედავითნებს, რომელთაც ამ კაცზე იერიში მიუტანიათ, ზოგი საწირავის ფულს სთხოვს და ზოგიც სადავითნოსას. გლეხი ცდილობს, რაც შეიძლება, ცოტას დააყბულოს, უწერს გოგიას გაჭირებულს მღვდობარეობას,

ტირილის ხარჯის სიდიდეს, მაგრამ მოწინააღმდეგენი თავისას გაიძახიან: თუ ამის მეტი საწირავი და სადავითნო არ გაიმეტეთ, მიცვალებულის სულს საშველი არა აქვსო.

ოცის საყენის სიგარძე გაქიმულს სეფაში (ფარდულში) აგერ სტუმრების მეოცე რიგი შეეპტევა სოფლის მზარეულის მიერ დამზადებულს სანოვავეს, მერე ისე არ-ხეინად, ისეთის გულ-დადებით, თითქოს საბარლო გოგიას ოჯახს ამ ქამად ფრჩხილიც არ მოსტეხოდეს. „მერიქიფე“ „ხონჩის კაცი“ ზავიანად გაიძახის ჩიხაული (მესტუმრე), რომელიც ყოველს ღონის ძიებას ხმარობს „ზედაშე დაუღვევილი“ არავინ გაუშვას და გოგიას ოჯახს საუკუნოდ სახელი არ გაუტეხოს.

— შე დალოცვილო, დღეს ცხრა-ჯერ-კი ისაღილე და მაინც არ გეშველა? არცხვენს ჩიხაული ერთს მსხდომარეთანგანს.

— ოჰ, იმ მიცვალებულს მიმწიოს ღმერთმა, თუ დღეს ამის მეტად ვმჯდარიყო, ეუბნება სირცხვილით გაწითლებული მანდილოსანი, მაგრამ ჩიხაული, რომელსაც ამ გვარ ფიცისათვის ყური შეწვეული აქვს, ყურადღებას არ აქცევს, უშუალოდ აგდებს და სხვებისკენ მიეშურება. აგერ მეორე მისი ხელქვეითი ჯოხით ერეკება სუფრიდან სოფლის გოგო ბიჭებს, რომელთაც, ჩიხაულის თქმით, დღეს სამჯერ მაინც ისაღილეს. ძონქებში გახვეულს, ხანში შესულს მესანაკეს კაბის კალთაში გახვეული პურის

ბიღვანა სიანს, რომ უკანასკნელ...

* * * გაზეთი „Гражд.“-ი იწყებ...

* * * იმ დღიდან, რაც კავკასიის...

* * * ჩვენ მივიღეთ ალ. ყაზბეგის...

* * * სიღნაღი: მოვიდა ჩვენშიც...

ყველაზე უმცროსს ქალს კატოს, რომ...

დაც-ი ფეხი მიმიწვდება, ცრემლის...

აქ ერთმა მედუნემ ამას წინაღუ...

ძეგამი, 16 დეკემბერს. ნაშე...

* * * სოფ. ქარელი (გორის მხარე)...

შობილის განყოფილება

დამაკვირდი

დაც-ი ფეხი მიმიწვდება, ცრემლის...

ძიღვანა, რაგულ მკობასწავით, ხელს...

ანგარიში

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს...

1 ნოემბრისთვის იყო კასში 28,569 მან.

ქორეპროცედურა

სახმარე, 12 დეკემბერს. საჩხერეს...

ყლაპვით და თან დაეინებით დააცქერდებოდა...

ხელე, მაშინვე ამას წააგებდნენ ხელს...

გაზეთი

ამას გარდა, ზემოხსენებულს იჯარად...

საქონლის ქირა აგვიკლო. მოუსაგლომას...

ქორეპროცედურა

სახმარე, 12 დეკემბერს. საჩხერეს...

ისმის მეტად დარდიანი, სევდის ამწლელი...

ბეთალო ფერწალიც არის უტატიო დაწესებული...

გაზეთი

ყვირილის ხიდი ძალიან დაგვიძველდა...

ინგლისში დაარსდა ერთი საზოგადოება...

ქორეპროცედურა

სახმარე, 12 დეკემბერს. საჩხერეს...

შემდეგ ანგარიში წარუდგინა, ოთხმოცი მანათი...



